საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 282/3 05/12/2018

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/279; 4.12.2018) განხილვის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 187-ე და 188-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2018 წლის 5 დეკემბრის №218/1 გადაწყვეტილების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/279, 4.12.2018) განხილვის გრაფიკი (თან ერთვის).

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2018 წლის 5 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/279; 4.12.2018) განხილვის გრაფიკი

1. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, უმრავლესობამ და უმცირესობამ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილონ და შესაბამისი დასკვნები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 11 დეკემბრისა.

2. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 7 დეკემბრისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დასკვნა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა – დასკვნა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა შემაჯამებელი სხდომა გამართოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 11 დეკემბრისა.

4. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა თავისი დასკვნა, აგრეთვე სხვა კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 11 დეკემბრისა.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გადაცემული დასკვნები წარუდგინოს საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 11 დეკემბრისა.

6. საქართველოს მთავრობამ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 12 დეკემბრისა.

7. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის დღესვე დაეგზავნოს პარლამენტის კომიტეტებს, საპარლამენტო ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

8. საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი განიხილოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 14 დეკემბრისა.